საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1203 2016 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გასაფორმებელი „სტანდარტული შეთანხმების წერილი გაეროს განვითარების პროგრამასა და სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიას შორის მომსახურების გაწევის თაობაზე გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“ განვითარების ხელშეწყობის“ პროექტისთვის“ საგრანტო დოკუმენტის პროექტის მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების საფუძველზე, მოწონებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გასაფორმებელი საგრანტო

დოკუმენტის პროექტი – „სტანდარტული შეთანხმების წერილი გაეროს განვითარების პროგრამასა და სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიას შორის მომსახურების გაწევის თაობაზე გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“ განვითარების ხელშეწყობის“ პროექტისთვის“.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო დოკუმენტში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო დოკუმენტის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება, მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ, გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**